საქართველოს მთავრობის

დადგენილება №671

2015 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებითა და მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული მაღალმთიან დასახლებათა ნუსხა.

მუხლი 2

მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილი დასახლების მაღალმთიანი დასახლების სტატუსი არ გადაიხედება დასახლების ნუსხაში შეტანიდან 10 წლის განმავლობაში.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**